ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

ბრძანება:**ბ74. 742433924**

თარიღი:**04/12/2024**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით, ელექტრონული აუქციონის გამოცხადების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 54- ე მუხლის პირველი ნაწილის „დ“ პუნქტის „დ.ა“ და „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ პუნქტის, 118-ე მუხლის პირველი ნაწილის, „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669 დადგენილებისა და ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 ნოემბრის Nგ75.75243343 და Nგ75.75243344 განკარულებების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. გამოცხადდეს ელექტრონული აუქციონი ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, დანართი N1-ში მითითებული უძრავი ქონების პრივატიზების მიზნით.
2. ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურმა, უზრუნველყოს ელექტრონული აუქციონის გამოცხადება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
3. ბრძანების გასაჩივრება შესაძლებელია ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) ბრძანების გამოქვეყნებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
4. ბრძანება ძალაში შევიდეს მხარისათვის კანონით დადგენილი წესით გაცნობისთანავე ან გამოქვეყნების დღეს.

დავით ჩერქეზიშვილი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-75. 75243343**

თარიღი:**29/11/2024**

,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ'' 2024 წლის 29 თებერვლის Nგ-75.75240607 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტის, საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლის საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

მუხლი 1.

შეტანილ იქნას ცვლილება ,,ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების საპრივატიზაციო გეგმის დამტკიცების შესახებ'' ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2024 წლის 29 თებერვლის N გ-75. 75240607 განკარგულებაში და დაემატოს:

· ქ. ტყიბულში, კ.გამსახურდიას ქ. N54 მიმდებარედ არსებული 184 კვ.მ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს.კ 39.01.27.310 საწყისი საპრივატიზებო საფასური 6 000 (ექვსიათასი) ლარი, შემდეგი პირობით: ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის განმავლობაში ტერიტორიის მოწესრიგება.

მუხლი 2.

კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას (ი. ლომთაძე).

მუხლი 3.

განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) განკარგულების მიღებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.

მუხლი 4.

განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

იოსებ რობაქიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

განკარგულება:**გ-75. 75243344**
თარიღი:**29/11/2024**

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პრივატიზებისას, საინვესტიციო ვალდებულების შემცირების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 24-ე მუხლის პირველი ნაწილის ,,ე“ პუნქტის ,,ე.გ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შეასხებ“ - საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილების 38-ე მუხლის საფუძველზე, ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა:

მუხლი 1.
ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული, ქ.ტყიბულში გამსახურდიას ქუჩა N38-ში (ყოფილი პოლიციის შენობა) მდებარე (ს/კ 39.01.27.032) უძრავი ქონების პრივატიზებისას საინვესტიციო ვალდებულება განისაზღვროს შემდეგი პირობით:
· ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში მყიდველმა უნდა განახორციელოს 300 000 (სამასი ათასი) ლარის ინვესტიცია, ეკონომიკური საქმიანობით დატვირთვა და 1 წლის განმავლობაში იერსახის მოწესრიგება.
მუხლი 2.
დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურს, განახორციელოს ფასების ცვლილება ამ განკარგულების პირველი მუხლის შესაბამისად.
მუხლი 3.
კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის საკითხთა კომისიას (ი. ლომთაძე).
მუხლი 4.
განკარგულება შესაძლებელია გასაჩივრდეს ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქუჩა N11) განკარგულების მიღებიდან ან მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან 1 (ერთი) თვის ვადაში.
მუხლი 5.
განკარგულება ძალაში შევიდეს მიღებისთანავე.

იოსებ რობაქიძე

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ტყიბულის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული საპრივატიზებო ქონება

N	ობიექტის დასახელება	მისამართი	საკადასტრო კოდი	მიწის ფართობი მ²	შენობა-ნაგებობის ფართობი მ²	საწყისი საპრივატიზებო ფასი	აუქციონის პირობა
1	ქ. ტყიბული, გამსახურდიას ქ. N38 ყოფილი პოლიციის შენობა)	ქ. ტყიბული, გამსახურდიას ქ. N38	39.01.27.032	2 715	2692.82 მ²	300 000	ხელშეკრულების გაფორმებიდან 3 წლის განმავლობაში, მყიდველმა უნდა განახორციელოს 300 000 ლარის ინვესტიცია, იერსახის მოწესრიგება და ეკონომიკური საქმიანობით დატვირთვა.
2	ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქ. N57 (ძველი საავადმყოფო)	ქ. ტყიბული, ტყვარჩელის ქ. N57	39.01.30.018	13 310	5574 მ² და 168 მ²	350 000	მიწის ნაკვეთის გაწმენდა არსებული ნანგრევებისაგან და ტერიტორიის მოწესრიგება ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმებიდან 2 წლის განმავლობაში
3	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ გელათში მდებარე არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელი გელათი	39.07.31.361	156		10 000	უპირობო
4	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ კურსებში მდებარე არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელი კურსები	39.07.29.130	4793		80 000	„ტერიტორიის მოწესრიგება და 50 000 (ორმოცდაათი ათასი) ლარის ინვესტიციის განხორციელება 18 თვის განმავლობაში“.
5	ქ. ტყიბულში, კ.გამსახურდიას ქ. N54-ის მიმდებარედ არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი	კ.გამსახურდიას ქ. N54-ის მიმდებარედ	39.01.27.310	184		6 000	ხელშეკრულების გაფორმებიდან 12 თვის განმავლობაში ტერიტორიის მოწესრიგება.